საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1/265

ქ. თელავი

„01"„05" 2017 წ.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის „სპორტი"-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდების საგამოცდო კომისიის შექმნისა და საგამოცდო ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის დავით მახაშვილის სამსახურებრივი ბარათისა (27/04/2017წ. N416934) და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შალვა ჭკადუას სამსახურებრივი ბარათის (28/04/2017წ N431692) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის „სპორტი"-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შეიქმნას მისაღები გამოცდების საგამოცდო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   1. **ჰამლეტ რაზმაძე** - ასოცირებული პროფესორი, „სპორტი"-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარე;
   2. **თენგიზ კაციტაძე** - დოქტორი, კომიის წევრი;
   3. **მევლუდი მაისურაძე** - მოწვეული მასწავლებელი, კომიის წევრი.

2. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,სპორტი"-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საგამოცდო ვადები განისაზღვროს შემდეგი სახით:

   ა) 2017 წლის 1-2 ივნისი - სპორტული ტურის მონაწილე აბიტურიენტთა რეგისტრაცია;

   ბ) 2017 წლის 7- 8- 9 ივნისი - ფიზიკურ მომზადებაში შემოქმედებითი ტური.

3. დაევალოს საგამოცდო კომისიას სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,სპორტი"-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით ორგანიზაციული საკითხების მოგვარება;
4. ბრძანების ასლი გადაეცეს განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტს;
5. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

უნივერსიტეტის რექტორი: /ირმა შიოშვილი/